



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა დვალი

წევრები:

გოგი თოდუა-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ეთერი ბროლაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკოლოზ გურგენიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
თამთა კამკამიძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამი ჩიკვაძე-კეჭყაძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ტოლია კილასონია-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
მზია შევარდნაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ნანა ცინცაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ალექსანდრე ლაცაბიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჯოჯიშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576039

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერი
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ლაილაში
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1432?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Lailashi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595509609

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის MES 5 24 0001072644 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27-28 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

№	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში - 1 შენობა ნაგებობა ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი სურმუში-1 შენობა ნაგებობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში - 1 შენობა ნაგებობა
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ლაილაში - 1 შენობა ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გაიმართა საგნობრივ ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, როდესაც განიხილ იქნა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შემუშავდა დღის წესრიგი და წარმოების

ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ. სკოლაში განხორციელებული ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის განრიგის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები და მექანიზმების პრაქტიკაში მოქმედება), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა. დაათვალიერა საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებული დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: დირექციას, მასწავლებლებს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრების მასწავლებელთა ინტერვიუების პროცესში შესაბამის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად და თავისი მოსაზრებები თუ რჩევები გაუზიარა მათ. ზემოაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი. ექსპერტებმა წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად, გამოკვეთილი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა
მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული
რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, კერძოდ, გამოიკვეთა საჭიროება და სკოლის დირექციისა და სკოლის ბუღალტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ბუღალტერმა გაიარა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგკურსი „ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საჯარო სკოლებში“, ხოლო ბიბლიოთეკარმა, ასევე საჭიროებისამებ, ერთობლივი გადაწყვეტილებით, აიმაღლა კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში.



სკოლა ჩართულია მუნიციპალიტეტის ფარგლებში სკოლების ქსელში და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ღონისძიებაში, ზოგ შემთხვევაში თავადაც მასპინძლობს სკოლების მოსწავლეებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



კომპონენტი 3.3

პროცესების მართვა

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5

მატერიალური რესურსები და
ინფრასტრუქტურა

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6

საინფორმაციო რესურსები

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7

ფინანსური რესურსები

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4

მოსწავლეთა მხარდაჭერა

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2

☒ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 90	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.



სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი №		

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	ხარვეზი
ინდიკატორი №		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა კმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ სურმუშის შენობაში შესასვლელად 2025 წლის 18 ნოემბრამდე უნდა დაამონტაჟოს პანდუსი, ასევე სველი წერტილის შიდა სივრცე უნდა იყოს ადაპტირებული შშმ მოსწავლის საჭიროებაზე.
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი №		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი №		
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	განახლდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ ბრძანება. რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება.
ინდიკატორი №3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;	სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შესახებ ერთიანი დოკუმენტი.



ინდიკატორი №3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ერთმანეთისგან გაიმიჯნოს.
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი №		
ინდიკატორი №4.2.2.3		სკოლამ შეიმუშაოს კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების შეფასების კონკრეტული მექანიზმები

სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სახელმწიფო ენის კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში კონტექსტ-მაგალითის აბსოლუტური უმრავლესობა მხატვრული ან არამხატვრული ტექსტია, ძირითადად ისეთი კონტექსტ-მაგალითები გამოიყენეთ, რომლებიც მოსწავლეთა მაღალ ინტერესს გამოიწვევს, ან რაღაც ნიშნით იქნება მამოტივირებელი.
ინდიკატორი №2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	მათემატიკის კურიკულუმში ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად, სასურველია, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში, მოსწავლეებს შეეთავაზოთ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის



	დაგეგმვისა და განვითარების გზას.	გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. დავალების პირობები, შესაძლებელია, მიებას კურიკულუმს დანართის სახით. დავალების პირობაში კარგად უნდა ჩანდეს რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდა 1) კურიკულუმებში მიეთითოს საგნებისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება; 2) მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებს , დანართის სახით, დაემატოს თემატური მატრიცები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები. მნიშვნელოვანია, აქტივობები და ზოგადად სასწავლო პროცესი მოარგოთ თქვენი მოსწავლეების საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც სასკოლო კურიკულუმს შესძენს უნიკალობას.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია უცხოური ენების შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს.



ინდიკატორი №2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სასურველია კომპიუტერული ტექნოლოგიებში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა გამოცდილების გაზიარების მიზნით უფრო მეტად აამოქმედონ კრიტიკული მეგობრის პროგრამა,
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ, როგორც მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლების დაწესებულებამ, უნდა მიმართოს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც დაეხმარება სკოლას კომპიუტერული ტექნოლოგიებში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის მოძიებაში. აღნიშნული კადრი ჩაუტარებს მოსწავლეებს დისტანციურად გაკვეთილებს.
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი №2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	მე-7 და მე-9 კლასების ისტორიის კურიკულუმებში მკაფიოდ არ ჩანს, რომელ საკითხს რა ცნება მიემართება.



ინდიკატორი №2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სახელმწიფო ენაში ყურადღება მიაქციონ კურიკულუმის ყველა აუცილებელი კომპონენტის მართებულად გაწერას, გაითვალისწინეთ განსხვავება კონტექსტ-მაგალითებსა და რესურსებს შორის. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი №2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად, სასურველია, მათემატიკაში ყველა კლასში, მოსწავლეებს შევთავაზოთ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. დავალების პირობები, შესაძლებელია, მიებას კურიკულუმს დანართის სახით. დავალების პირობაში კარგად უნდა ჩანდეს რა ცოდნის კონსტრუქციას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სახელმწიფო ენაში სავალდებულო თემების ნაცვლად გაწერილი აქვთ სახელმძღვანელოს თავის სათაური, გთხოვთ, კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ სტანდარტით შემოთავაზებული სავალდებულო თემები, რათა საკითხი დამუშავდეს სავალდებულო თემის ფარგლებში.
ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდის საგნებში: 1) კურიკულუმებში მიეთითოს საგნებისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ფარგლებში საათების სემესტრული განაწილება. 2) მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი სათობრივი დატვირთვა.



ინდიკატორი №2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებს, დანართის სახით, დაემატოს თემატური მატრიცები, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი №2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სასურველია, საფეხურის ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში, ყველა თემისთვის, ჩაიწეროს ის რესურსები, რომელსაც მასწავლებელი გამოიყენებს, მოცემული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებების დასამუშავებლად
ინდიკატორი №2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	მნიშვნელოვანია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაიგეგმოს და განხორციელდეს არაფორმალური აქტივობები, პროექტები, ამუშავდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი ან წრე რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას.
ინდიკატორი №2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სასურველია, მათემატიკის კურიკულუმში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
ინდიკატორი №2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია უცხოური ენებში შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს.
ინდიკატორი №2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებისთვის, სრულად მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება კომპლექსური დავალებები.



ინდიკატორი №2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სასურველია მათემატიკის სტანდარტით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა.
ინდიკატორი №2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი,	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებებში შემაჯამებული დავალების შეფასების სისტემა უფრო მკაფიოდ იყოს ფორმულირებული. საკითხის შესწავლის დროს მოსწავლეთა მიღწევებიცა და ხარვეზებიც განისაზღვროს არა მარტო ფაქტობრივი მასალის დასწავლისა და დამლევს კუთხით, არამედ ცნებებთან მიმართებაშიც.
ინდიკატორი №2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების კათედრის წევრებმა გამოცდილების გაზიარების მიზნით უფრო მეტად აამოქმედონ კრიტიკული მეგობრის პროგრამა.
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი №2.1.2.1.	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას,	კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ, რომ სახელმწიფო ენაში კონტექსტ-მაგალითის აბსოლუტური უმრავლესობა მხატვრული ან არამხატვრული ტექსტია, ძირითადად ისეთი კონტექსტ-მაგალითები გამოიყენეთ, რომლებიც მოსწავლეთა მაღალ ინტერესს გამოიწვევს, ან რაღაც ნიშნით იქნება მამოტივირებელი.
ინდიკატორი №2.1.2.1.	კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად, სასურველია, მათემატიკაში ყველა კლასში, მოსწავლეებს შევთავაზოთ კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს



ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თითოეულ თემას/საკითხს მიეთითოს შესაბამისი სათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი №2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სასურველია მათემატიკის კურიკულუმებს დაერთოს კომპლექსური დავალების პირობები, რომელშიც კარგად გამოჩნდება რა ცოდნის კონსტრუირებას უნდა მოემსახუროს კომპლექსური დავალება, რა პროდუქტი უნდა შექმნან მოსწავლეებმა და რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს. ასევე სასურველია საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებს დანართის სახით დაემატოს ყველა კომპლექსური დავალების შესაბამისი თემატური მატრიცა, სადაც ნაბიჯების მიხედვით გაწერილი იქნება კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, აქტივობები, რესურსები, შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სახელმწიფო ენაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს, გამოიყენონ თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები (სამიზნე ცნებებთან მიმართებით).
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში დაიგეგმოს და გადეხორციელოს არაფორმალური აქტივობები, პროექტები, ამუშავდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი ან წრე რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას.
ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოურ ენებში სასურველია შეფასების რუბრიკები ზუსტად მიემართებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს/ რუბრიკის კრიტერიუმები ეყრდნობოდეს ამა თუ იმ უცხოური ენის სტანდარტის შეფასების ინდიკატორებს.

ინდიკატორი №2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	სასურველია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების ინდიკატორების გამოყენებით, მათემატიკაში თითოეული თემისთვის, შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
ინდიკატორი №2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	სასურველია მათემატიკაში ყველა კომპლექსურ დავალებას ახდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, სადაც მაქსიმალურად დეტალურად იქნება გაწერილი თუ რა მოლოდინი შეიძლება გვქონდეს მოსწავლისაგან. შეფასების რუბრიკა უნდა უნდა ეფუძნებოდეს კომპლექსურ დავალებას და იყოს კონკრეტული

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლამ გაიზიარა და გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნა და რჩევები.

1. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ იყო ყველა აუცილებელი მატერიალური აღჭურვილობა, კერძოდ: გამწოვი კარადა, ონკანი, ცეცხლგამძლე კარადა/მაგიდა სხვადასხვა ქიმიური რეაქტივების შესაბამისი წესით შესანახად.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დღევანდელ სახეს, კერძოდ, სკოლამ რეაქტივების შესაბამისი წესით შესანახად დაამონტაჟა ცეცხლგამძლე კარადა, მოაწყო გამწოვი კარადა, ლაბორატორიაში ფუნქციონირებს ონკანი. წარმოდგენილია ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული შტატივი, ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის ბეჭდური ატლასები. ამდენად, ექსპერტმა დასკვნაში **ინდიკატორი №2.2.2.3 ჩათვალა სრულ შესაბამისად.**

2. ვიზიტის დროს სკოლას ჰქონდა ხარვეზი, კერძოდ, სოფელ სურმუშის შენობაში შშმ მოსწავლის მოსვლის შემთხვევაში, მას არ



შეეძლება შენობაში მარტივად შესვლა, რადგან სკოლას კიბეებზე პანდუსი დამონტაჟებული არ ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება სველ წერტილს, მართალია, იგი მიწის სიმაღლეზეა, რაც გაუადვილებს შშმ მოსწავლეს საპირფარეშოში მოხვედრას, თუმცა, სველი წერტილის შიდა სივრცე არ იყო ადაპტირებული. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2025 წლის 18 ნოემბრამდე იზრუნებს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე. ამდენად, ექსპერტმა **ინდიკატორი №3.5.1.4 ჩათვალა მეტწილად დაკმაყოფილებულად და გასცა რეკომენდაცია:** სკოლამ სურმუშის შენობაში შესასვლელად 2025 წლის 18 ნოემბრამდე უნდა დაამონტაჟოს პანდუსი, ასევე სველი წერტილის შიდა სივრცე ადაპტირებული იყოს შშმ მოსწავლის საჭიროებაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიაა „მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული განათლება წარმატებული მომავლის გარანტია“, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ისე წარმართვას, ყველა რესურსის ისეთ მობილიზებას, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეულ მოსწავლეზე, კონკრეტულ საჭიროებებსა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე, მოსწავლის ძლიერი მხარეების წარმოჩენაზე, პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბებაზე, პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის განვითარებაზე. სკოლის ხედვა და ღირებულებებია მიაღწიოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევ შედეგებს. აღზარდოს საამაყო მოქალაქე, ზნეობრივი ღირებულებებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისიითა და ხედვით სკოლას განსაზღვრული აქვს საკუთარი ადგილი, რადგან მისი მიზანია ყველა მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრა და ამაზე მორგებული განათლების მიცემა, რომელსაც ექნება პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის განცდა, ზნეობრივი ღირებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სკოლის მასწავლებლები. სასკოლო საზოგადოების აზრის შესწავლისა და მათი გათვალისწინების მიზნით სკოლამ განსაზღვრა საკვლევი მიმართულებები, შეარჩია კვლევის ინსტრუმენტები, ჩაატარა

ფოკუს ჯგუფები/გამოკითხვები სასკოლო საზოგადოების ყველა მხარესთან და მიღებული შედეგების საფუძველზე მოახდინა სკოლის თვითშეფასება. დაგროვილი მასალების გადამუშავების საფუძველზე შემუშავდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ტექსტის სამუშაო ვერსია, რომელიც განიხილეს სამუშაო ჯგუფებში და შემდგომ დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ტექსტი საყოველთაო შეთანხმებით მიღებული იყო სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. გარდა ამისა, სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის ნაწილიცაა მისია და ხედვა, კლასის დამრიგებლებმა წარუდგინეს საკუთარი კლასის მოსწავლეებსა და მშობლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; ის განთავსებულია სკოლის ძირითად შესასვლელში, ასევე ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: **სსიპ-ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა-შეესაბამება** მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია და ხედვა
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 სექტემბრის №2/29 ბრძანებით. დოკუმენტში განსაზღვრულია ის მექანიზმები, რომლებითაც დგინდება სასკოლოსაზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საბაზო და საშუალო მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების გამოკითხვის კითხვარი, კითხვარი მასწავლებლებისა და მშობლებისათვის; swot ანალიზს, კონკურენტთა ანალიზს და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას. გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სტრატეგიული გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიმართულებას: ა) საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება; ბ) სწავლების ხარისხის ამაღლება; გ) უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; დ) ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. ის აგრეთვე შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანების და ამ ამოცანების განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის სტრატეგიული გეგმა
- სკოლის ერთწლიანი გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; კერძოდ, გეგმების შეფასებას სკოლა ახორციელებს წელიწადში ერთხელ გეგმიურად. აგროვებს მონაცემებს, ანალიზებს მათ და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების საჭიროებას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.
3. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.
4. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ხელმძღვანელობს საჯარო სკოლის წესდებით. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა სამტატო განრიგი და ამის შესაბამისად დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი. სკოლას 3 ყავს დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, 18 მასწავლებელი, სკოლის ექიმი, 3 დამლაგებელი, 2 ცეცხლფარეში, 2 დარაჯი. მათი ფუნქციები გაწერილია ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები: დირექტორი, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები და სხვა სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამტატო განრიგი
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის 2024 წლის 16 თებერვლის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ადამიანური რესურსების მართვის ციკლი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროცესის დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა, ორგანიზაციიდან გასვლა. დოკუმენტში გათვალისწინებულია მინისტრის ბრძანება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ“.

რჩევა: განახლდეს აღნიშნული ბრძანება და მასში გათვალისწინებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის არა 2015 წლის 18 სექტემბრის 126/ნ ბრძანება რომელიც აღარაა მოქმედი, არამედ „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 19 ივნისის №108/ნ ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის შინაგანაწესის მე-9 მუხლში გათვალისწინებულია სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, კერძოდ, წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე) გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შესახებ, სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით.

3. სკოლაში პერსონალის მოზიდვა ხორციელდება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის რამდენიმე პერსონალს სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33¹-ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“, ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში (საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 21).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომელთა შერჩევისას მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში განსაზღვრულია: ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლის, ექიმის, დამლაგებლის, დარაჯის, ცეცხფარემის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას ჰყავს 18 მასწავლებელი, აქედან 13 უფროსი მასწავლებლის სტატუსით, 3 წამყვანი მასწავლებელი, 3 მაძიებელი (2 დაწყებითისა და 1 კომპიუტერული ტექნოლოგიების), 1 უსტატუსო (გამოცხადებულ ვაკანსიაზე კომისიამ ვერ შეარჩია კვალიფიციური კადრი) და 1 სპეციალური მასწავლებელი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ექიმს აქვს ექიმის კვალიფიკაცია და სახელმწიფო სერტიფიკატი ზოგად ქირურგიაში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართი 1.2.-ის თანახმად, თუ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 50-დან 100-მდეა, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. ამავე ბრძანების მიხედვით, ექთანს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული ან უმაღლესი განათლება. ამდენად, სკოლის სამედიცინო პერსონალი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების და კათედრების ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების რეგულაცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და

კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც გაწერილია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. მასწავლებლის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი და ყველა კათედრის მასწავლებლები. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წინა წლის ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლას ჰყავდა მამდიებელი მასწავლებლები, რომელთა მიერ განხორციელებულ აქტივობებსაც სკოლა პერიოდულად აფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, კერძოდ, გამოიკვეთა საჭიროება და სკოლის დირექციისა და სკოლის ბუღალტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ბუღალტერმა გაიარა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგურსი „ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საჯარო სკოლებში“, ხოლო ბიბლიოთეკარმა, ასევე საჭიროებისამებ, ერთობლივი გადაწყვეტილებით, აიმაღლა კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; რაც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-18 მუხლში. განსაზღვრულია ადაპტაციის ეტაპები. კერძოდ, ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისათვის სკოლა ახორციელებს შემდეგ აქტივობებს: თანამშრომლებთან პირველი შეხვედრის ორგანიზება, პირველ სამუშაო დღეს განსაკუთრებული დახვედრა, სკოლის დათვალიერება, სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის 21- ე მუხლის მიხედვით, თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. სკოლა ასევე ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, რაც გამოჩნდა ბუღალტრისა და ბიბლიოთეკარის მიერ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში მონაწილეობით. მნიშვნელოვანია, რომ კათედრის დონეზე ხდება მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერა. მასწავლებლებს ასევე დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბუღალტრისა და ბიბლიოთეკარის მიერ ტრენინგებში მონაწილეობის ამსახველი სერტიფიკატები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2024 წლის 24 იანვრის 2-05 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის II თავი ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის წესს. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება ქვეპროცესებისაგან: ა) სასწავლო პროცესთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება. ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების შედეგების სამოქმედო გეგმის შედგენა, გ) შემოწმების განხორციელება, დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მნიშვნელოვანია, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლამ ასევე აქცენტები გააკეთოს სხვა საგანმანათლებლო პროცესების შეფასებისა და მათი უზრუნველყოფაზე.

2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტშია გაწერილი საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები: მმართველობითი მიეკუთვნება: სტრატეგიული დაგეგმა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, ძირითადს: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაცია სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შემუშავებულია და დირექტორის 2024 წლის 25 იანვრის 2-09 ბრძანებით დამტკიცებულია „განცხადების, საჩივრის განხილვის პროცედურა“. დოკუმენტში გაწერილია საჩივრის განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლობის უფლება, განხილვის ვადებია, საჩივრის ტიპები და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, „განცხადების, საჩივრის განხილვის პროცედურა“, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 24 იანვრის 2-05 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“
- სკოლის შინაგანაწესი
- „განცხადების, საჩივრის განხილვის პროცედურა“
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და მასალების გაცნობით დადგინდა, სკოლა გარე კომუნიკაციისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტასა და სოციალურ ქსელს. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის პროცესების სისწრაფეს. სკოლის ელფოსტითა და ფეისბუქზე საკუთარი გვერდით და სოციალური დახურული ჯგუფებით მასწავლებლები, დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას, მშობლებს, მასწავლებლებს. სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით. შემოსული შეკითხვებს, ინიციატივებსა და შენიშვნებს სკოლა იყენებს შემდგომი განვითარებისთვის. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი-სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს ჩამოთვლილი პროცესების აღმწერი დოკუმენტი.

2. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო (ჩართულია ყველა პედაგოგი), მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი (დაკომპლექტებული სკოლის მასწავლებლებით), მრჩეველთა საბჭო. ყველა ორგანო და რგოლი მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციის ფარგლებში საქმიანობს, ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს გადაწყვეტილებებს. ამდენად, უზრუნველყოფილია მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის (ლაილაშის შენობის) ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია რკინის ღობით, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს უსაფრთხო სკოლის მენეჯერის სტატუსი. სკოლის შენობა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით: შენობის გარეპერიმეტრზე 4 კამერაა და შიგნით კი-8 ვიდეოკამერა (თითოეულ სართულზე 4-4 ვიდეოთვალი). ვიდეოსათვალთვალო სისტემაში ასახული ინფორმაციის შემკრები მონიტორი განთავსებულია ცალკე ოთახში: უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ოთახში. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (10/07/2024). სოფელ სურმუშის შენობაში მუშაობს მხოლოდ 2 მასწავლებელი, რომელთაგან ერთ-ერთი არის 2 მოსწავლის უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე.

რაც შეეხება უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნას შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 25 ივლისს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმადაც, სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა (მდგრადობა) დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

2024 წლის 12 ივლისის სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად და შესაბამისი წინადადებების მოსამზადებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში სოფელ ლაილაშის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს სამედიცინო ოთახი, სადაც განთავსებულია სველი წერტილი და ყველა ის ინვენტარი, რომლებიც გათვალისწინებულია მინისტრების ბრძანებით. სკოლას ჰყავს ექიმი. იგი სურმუშის სკოლაშიც ასრულებს შესაბამის საქმიანობას, დირექტორთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი-სკოლის თანამშრომელი, რომელსაც აქვს უსაფრთხო სკოლის მენეჯერის სტატუსი, რომელიც აკონტროლებს ვიდეოთვალის ინფორმაციას უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ოთახში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოსწავლეების სწორი ქცევითი ჩვევების განვითარებაზე, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებაზე მუშაობს მთელი სკოლა: დირექტორი, საგნის მასწავლებლები, ძირითადად კი დამრიგებლები. სკოლა გამოირჩევა ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოთი, რაც გამოვლინდა გამოკითხვის შედეგად. საჭიროების შემთხვევაში, არის საშუალება, რომ მანდატურის სამსახურის ფსოქოსოციალური სამსახურის თანამშრომელი მოემსახუროს სკოლას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ემსახურებიან დამლაგებლები, რომლებიც ასუფთავებენ სკოლის შიდა პერიმეტრს, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს ცალ-ცალკე სანიტარული კვანძები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით, კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი (უკონტაქტო). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგე პასუხისმგებელი პირი-სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. ელექტრონული ჟურნალის წარმოებზე პასუხისმგებელი პირი არის თითოეული საგნის მასწავლებელი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ, მოსწავლის სპეციალური საჭიროების შესახებ სრულად არის დაცული. მასალები ინახება საქმისმწარმოებელთან კარადებში, რომელიც იკეტება. წინა წლის მატერიალური მასალები ინახება არქივში და მათთან წვდომა აქვს მხოლოდ საქმისმწარმოებელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლაში დაცულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. აღნიშნული რეგულირდება სხვადასხვა რეაგულაციითა და მექანიზმით: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით, ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამლაგებლებთან დადებული ხელშეკრულება
- კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სამედიცინო ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი
- სკოლის დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან ორივე სოფლის შენობაზე. აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლას განახლებული ამონაწერების წარმოდგენა გაწერილი ჰქონდა 2025 წლის 10 ივნისამდე სკოლის შენობა-ნაგებობები მდებარეობს ორ ლოკაციაზე: სოფელი ლაილაშსა და სოფელ სურმუშში. ორივე ლოკაციაზე მიწისა და შენობების მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო მოსარგებლე სსიპ-საგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაილაშის საჯარო სკოლა არსებობის ვადით. რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ლაილაშში მიწა: 8352 კვ.მ.; ორსართულიანი შენობა კი-832 კვ.მ. სოფელ სურმუშში - მიწა 1680, ხოლო შენობა 53 კ.მ.

სოფელ ლაილაშის შენობაში სულ 11 საკლასო ოთახია, გარდა ამისა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ ოთახში, ბიბლიოთეკა, დირექციის ოთახები (დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის), ასევე რესურსოთახი, დამლაგებლების შესანახი ოთახები, უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ოთახი, ბუფეტი, სამასწავლებლო. სკოლას შეძენილი აქვს 90 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს ეზოში სპორტული მოედანი და შესაბამისი სპორტული ინივენტარი. ასევე სართულებზე დგას მაგიდის ტენისის მაგიდები. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. არსებობს ჩამონათვალი ინვენტარისა, რომელიც გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში ცდების ჩასატარებლად.

რჩევა: საჭიროების შემთხვევაში, კომპიუტერული ლაბორატორია განთავსდეს ცალკე ოთახში.

სოფელ სურმუშის შენობაში სულ 3 ოთახია. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ 1 ოთახში, სადაც სწავლობს ადგილობრივი 2 მოსწავლე, ხოლო დანარჩენი 2 ოთახი გამოიყენება მოსწავლეთა მოსასვენებლად, მასწავლებელთა

შეხვედრებისათვის. შენობას აქვს ეზო, სადაც მდებარეობს მოწესრიგებული კაპიტალური სველი წერილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლეებისთვის ლაილაშის სკოლის შენობაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფნები, დიდი ეზო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სპორტული მოედანი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. სკოლის ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული მოედნითა და დერეფნებში არსებული მაგიდის ჩოგბურთის მაგიდებით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სურმუშის შენობაში 2 ოთახია, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა დასვენება, არაფორმალური ურთიერთობა მასწავლებლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ლაილაშის შენობას აქვს ბიბლიოთეკა საცავით, სადაც განთავსებულია თაროები წიგნებით, მაგიდები. სკამები. საინვენტარო წიგნის მიხედვით, სულ ბიბლიოთეკაში არის 2100 წიგნი (შორის 1500 სახელმძღვანელო). ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, ასევე მოსწავლეთა ფორმულარები, სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტები მშობელსა და დირექტორს შორის. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო პრინციპით. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკა მუშაობს 9 საათიდან 5 საათამდე. სურმუშის სკოლის შენობაში საკლასო ოთახში თაროებზე განლაგებულია ის წიგნები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინკლუზიური ინფრასტრუქტურა: ლაილაშის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, ასევე პირველიდან მეორე სართულზე ასასვლელად დამონტაჟებულია ლიფტი. პირველ სართულზე ადაპტირებული სველი წერტილია. სოფელ სურმუშის შენობა დაბალი ერთსართულიანი ნაგებობაა, 2-კიბიანი ასასვლელით. ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ შშმ მოსწავლის მოსვლის შემთხვევაში, მას არ შეეძლება შენობაში მარტივად შესვლა, რადგან სკოლას კიბეებზე პანდუსი დამონტაჟებული არ ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება სველ წერტილს, იგი მიწის სიმაღლეზეა, რაც გაუადვილებს შშმ მოსწავლეს საპირფარეშოში მოხვედრას, თუმცა, სველი წერტილის შიდა სივრცე არ იყო ადაპტირებული. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ აღნიშნა, რომ 2025 წლის 18 ნოემბრამდე იზრუნებს აღნიშნული ხარვეზის მოგვარებაზე. ამდენად, ექსპერტმა **ინდიკატორი №3.5.1.4 ჩათვალია მეტწილ დაკმაყოფილებულად და გასცა რეკომენდაცია:** სკოლამ სურმუშის შენობაში შესასვლელად 2025 წლის 18 ნოემბრამდე უნდა დაამონტაჟოს პანდუსი, ასევე სველი წერტილის შიდა სივრცე ადაპტირებული იყოს შშმ მოსწავლის საჭიროებაზე.

5. ლაილაშის სკოლის ინფრასტრუქტურა: სკოლის ეზო, სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ოთახი თვითმმართველობისათვის ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, საინტერესო პროექტები, მოაწყონ შეხვედრები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან, მათთვის საინტერესო ადამიანებთან. სურმუშის შენობაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობის ჩატარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერები საჯარო რეესტრიდან

შენობების აზომვითი ნახაზები

ბიბლიოთეკის დებულება

ბიბლიოთეკის საინვენტარი წიგნი

ბუღალტრული დოკუმენტაცია

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა-კომპიუტერული კლასი, სადაც ვიზიტის დროს განთავსებული იყო 6 კომპიუტერი და პრინტერები. გარდა კომპიუტერული ოთახისა, კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის ოთახებში, სამასწავლებლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა მოსწავლეებს შეუძლიათ, ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი.

ბუღალტრული დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 იანვრის 2-02 ბრძანებით დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების დებულება, რომლის მიხედვით საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგი სახის დოკუმენტაციაზე: შემოსული დოკუმენტაციის (წერილი, მოთხოვნა-დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; გასული დოკუმენტაციის (წერილი, ცნობა, მოთხოვნა-დასტური, მიმართვა) აღრიცხვა; შიდა დოკუმენტაციის (სამსახურეობრივი ბარათი, ახსნა-განმარტება, ბრძანება, ბრძანების ამონაწერი, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ხელშეკრულებები, მემორანდუმები) აღრიცხვა; მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძულია, მათი სანდოობა და მთლიანობა არის უზრუნველყოფილი. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემით; ასევე სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ: eSchool.emis.ge, office 365; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი

სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (Eflow) სისტემა

eSchool.emis.ge

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: <https://skolebi.emis.ge/schools/>, სოციალურ ქსელში: <https://www.facebook.com/profile.php?id=100023527533608>. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ამ მიზნით სკოლას განსაზღვრული ჰყავს საქმისწარმოებელი და დირექტორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. არ შეფასდა პირველადი ავტორიზაციის გამო.
4. სკოლას აქვს პორტალზე მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

<https://www.facebook.com/profile.php?id=100023527533608>

<https://skolebi.emis.ge/schools>

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახულია ფინანსები, რომლებიც საჭიროა გეგმით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად. გეგმის სვეტში-არსებული რესურსი-იგულისხმება სკოლის ბიუჯეტის თანხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის დირექტორთან, კათედრების ხელმძღვანელებთან და ბუღალტერთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი დგება კათედრების ინიციატივებისა და წინადადებების საფუძველზე, სხვადასხვა სახის რესურსების მოთხოვნა წარედგინება დირექტორს. ასევე ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას შესყიდვის გეგმის საფუძველზე. შემდგომ მიმდინარეობს ბაზრის კვლევა. დირექტორის მიერ შედგენილი ბიუჯეტი წარედგინება სამეურვეო საბჭოს, რომელიც ამტკიცებს მას. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოხსენება ფინანსური ანგარიშის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი

დირექტორის ანგარიშები

სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი. ყველა მოსწავლეს აქვს სწავლისა და სასწავლო რესურსის თანაბარი პირობები და ხელმისაწვდომობა. დაწყებითი კლასის მოსწავლეები უზუნველყოფილნი არიან კომპიუტერებით ე.წ. „ბუკებით“. შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები. საბაზო საფეხურზე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მშობლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების დოკუმენტაციას. ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან კომუნიკაციის დებულება, რომლებიც განთავსებულია საჯარო სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებებზე დამრიგებლები აცნობენ შინაგანაწესს. კლასებში განთავსებულია მოსწავლეთა მიერ შემუშავებული ქცევის წესები. მოსწავლეების შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის განთავსება ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით. დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში უზიარებენ მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას გაფორმებული აქვს მშობლებთან ხელშეკრულებები ბუკებისა და სახელმძღვანელოების გადაცემასთან მიმართებით. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- სადამრიგებლო ოქმები;
- სოციალური ქსელი, ვებგვერდი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- მშობლების თანხმობის განაცხადი ფოტო, ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე;
- სამოქალაქო განათლების კლუბი და დოკუმენტაცია.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების დოკუმენტაციას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (eflow) და განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, მობილობის, სტატუსის ცვლილების გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმი, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №045 ბრძანებას. ყველა მოსწავლე სკოლაში ჩარიცხულია ასაკის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, ასევე კლასისა და საფეხურის დამღევს შესახებ გამოიცემა დირექტორის შესაბამისი ბრძანება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მეორე უცხო ენის არჩევისას, სკოლა მშობლებთან ნიშნავს შეხვედრებს და სთავაზობს ენების არჩევანს. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, რომლის მუშაობის წესდება, მიზნები და ამოცანები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში არსებული სამოქალაქო კლუბის გეგმა და განხორციელებული ღონისძიებები კანონმდებლობის შესაბამისია, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები
- მობილობის ბრძანებები;
- შემოსული განცხადებები;
- სოციალური ქსელი, ვებგვერდი;
- პედ.საბჭოს სხდომის ოქმები;
- მეორე უცხო ენის არჩევის შესახებ მშობელთა კრების ოქმი;
- მშობლების თანხმობის განაცხადი ფოტო, ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე;
- ვერიფიკაციის მექანიზმი.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. პირველკლასელთა ადაპტაცია, მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაცია, საბაზო საფეხურზე გადამსვლელი მოსწავლეების ადაპტაცია და ასევე დეზადაპტაციის ნიშნების ამოცნობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმის რეგულაციის პრაქტიკაში გამოყენება მიმდინარე წარმოების ფარგლებში ვერ შეფასდება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ადაპტაციის პროცესში აქტიურად არიან ჩართული მშობლები. მათი უმრავლესობა სკოლის თანამშრომელია, რაც სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს უფრო ეფექტურს ხდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოსწავლეები აქტიურად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირებს მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. ასევე ელ. ჟურნალის საშუალებით მოსწავლე და მშობელი იღებს ინფორმაციას გაცდენების, ექსტერნების და გამოცდების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისთვის სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს შესაბამისი მხარდაჭერით, კერძოდ, სკოლა ადმინისტრირებას უწევს საშემოდგომო, სემეტრულ გამოცდების კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებას და მოსწავლეთა შესაბამის მხარდაჭერას (დროულად ინფორმირება, კონსულტირება), ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას. ადგენს ჩასაბარებელი გამოცდების განრიგს, ქმნის კომისიას და ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ დამრიგებლების მეშვეობით. კონკურსებისა და ოლიმპიადებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად (კათედრის ოქმი), მასწავლებლები დამატებით მეცადინეობებს უტარებენ ბავშვებს და ეხმარებიან ცოდნის გამყარებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლაში შექმნილია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ფორმალური და არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერა. არაფორმალური განათლების კუთხით ხორციელდება პროექტები, „ჩვენი საუკუნე გვიცავს უახლესი“. მოსწავლეებისთვის გაზიარებულია არაფორმალური აქტივობების სამოქმედო გეგმა; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მშობელთა კრებებზე მშობლებთან შეხვედრებისას, მასწავლებლებისა და მოსწავლეების არაფორმალური საუბრებისას, სკოლა იღებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რითაც ცდილობს გააუმჯობესოს მოსწავლეთა მომსახურება. სკოლა ასევე აწარმოებს კითხვარს, რომელშიც მოსწავლის მშობელი აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით. სკოლა გეგმავს მშობელთა ინტერესების გათვალისწინებას და არაფორმალური განათლების მიმართულებით გარკვეული აქტივობების დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- მასწავლებლებისგან გაცემული განმავითარებელი უკუკავშირები;
- მოსწავლეთა ინიციატივებით მოწყობილი ღონისძიებების ლინკები, პროექტები, ამსახველი ბუკლეტები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- პროექტი მრავალეთნიკური ლაილაშში (<https://www.facebook.com/profile.php?id=100023527533608>);
- მშობელთა კმაყოფილების კითხვარები;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დებულება.
- ტრანზიციის წესი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში სწავლა ხორციელდება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ამიტომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით ხდება მოსწავლეთა ინფორმირება სადამრიგებლო საათებზე, ასევე გაკვეთილების ფარგლებში. ხორციელდება სახელობო და სახელოვნებო დაწესებულებებში ვიზიტები, მაგალითად კოლეჯი „ერქვანი“, ასევე 2023 წლის 8 დეკემბერს გაფორმებული აქვთ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ალპანის საჯარო სკოლასთან. პროფესიების გაცნობა სკოლაში ასევე ხდება საგნობრივ ჭრილში (საგაკვეთილო პროცესის დროს). სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბის ფარგლებში

ხორციელდება სხვადასხვა პროფესიის მშობელთა ვიზიტები. თავად მშობელთა მხრიდან ხდება გარკვეული პროფესიების პოპულარიზაცია (ექთანი მშობელი ესაუბრება ჰიგიენის და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ხელოვანი მშობელი ჩართულია ღონისძიებებში და მოსწავლეებს თავად აკეთებინებს დეკორაციებს). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას გაფორმებული აქვს კოლეჯ „ერქვანთან“ მემორანდუმი. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ხდება რეგიონის მასშტაბით არსებული პროფესიული სასწავლებლის (კოლეჯი „ერქვანი“) პოპულარიზაციის მიზნით, რომლის წარმომადგენლები ადგილზე მოსვლით აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ შეთავაზებებს.

3. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების დახმარება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სკოლის დირექციასთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ მომსახურების შეთავაზების გაწევისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეთა ინტერესებს, ასევე წინა პერიოდში გაწეული მომსახურების შედეგებს.

რჩევა: სკოლამ შეიმუშაოს კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში შეთავაზებული სერვისების შეფასების კონკრეტული მექანიზმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი;
- მშობელთა კმაყოფილების კითხვარი;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ;
- ღონისძიებები, ფოტო-ვიდეო მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, სპეციალური მასწავლებელი და გააჩნია რესურსოთახი. სასწავლო წლის დასაწყისში ერთ თვის ვადაში სსსმ მოსწავლეებზე (ახალ სსსმ მოსწავლეზე გამოვლენიდან ერთი თვის განმავლობაში) სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისე ჯგუფები. თვითოეულ გუნდს ჰყავს კოორდინატორი-კლასის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის შეხვედრებს. სადაც განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები. განისაზღვრება შეხვედრის თარიღები. ყოველ შეხვედრაზე ფორმდება ოქმი, რომელიც ინახება სსსმ მოსწავლის პირად საქმეში (გუნდის

შეხვედრები იმართება მუნიციპალურ მასშტაბზე.) სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავენ წლიური სამუშაო გეგმებს, წერენ ისგ-გეგმის ზოგად ნაწილს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. მასწავლებლები თავის მხრივ ადგენენ ისგ გეგმებს მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით. ისგ გეგმები სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ამასთან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაზე დაყრდნობით, შეიძლება მოიცავდეს ყველა ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის მიერ მისაღწევი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები. სასწავლო წლის მანძილზე სპეციალური მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები სსსმ მოსწავლესთან ანხორციელებენ მონიტორინგს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს ინკლუზიური განათლების მიმდინარეობას სკოლაში. სსსმ მოსწავლის გამოვლენისა და მასთან მუშაობის მექანიზმები გაწერილია სსსმ პრათავის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ჩარიცხულ თითოეულ სსსმ მოსწავლესთან მიმართებით სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები, რომლებშიც შედიან კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, თითოეული საგნის მასწავლებელი, რომელშიც მოსწავლეს ესაჭიროება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და სპეციალური მასწავლებელი. ისგ ჯგუფი მუშაობს კოლეგიურობისა და გუნდურობის პრინციპით. ისგ ჯგუფი იკრიბება როგორც სამუშაო შეხვედრებზე წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ, განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს, მოსწავლის პროგრესსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლა მშობელს მუდმივ რეჟიმში აწვდის ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესსა და სწავლების შედეგებზე. სსსმ მოსწავლე ინტეგრირებულია კლასში. სკოლის მასწავლებლების ძალისხმევით თითოეულ კლასში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო, სწავლება მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომით. ინკლუზიური განათლების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. სკოლის პედაგოგებს პარტნიორი ორგანიზაციის დახმარებით, ასევე მასწავლებლის სახლის ორგანიზებით გავლილი აქვთ ტრენინგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- მულტიდისციპლინარული გუნდის შექმნის ბრძანება;
- ისგ ოქმები და წლიური ანგარიში;
- ისგ გაკვეთილის გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ დამატებითი არასავალდებულო მომსახურებით—ტრანსპორტირების სერვისით, რომლის მონიტორინგიც ხორციელდება ყოველდღიური ტაბელის მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ტრანსპორტირების სერვისი სკოლისთვის შეთავაზებულია მუნიციპალიტეტის მიერ და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამ მიმართულებით სკოლას არ აქვს ვალდებულება რეგულაციების დაწესების. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ადგენს ტრანსპორტით მომსახურების საჭიროების დეტალებს და აწვდის შესაბამის სტრუქტურებს. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომელიც არაერთი პროექტის ავტორია: ნაგავსაყრელების მოწყობა თემში, ლაილაშის ისტორიული ძეგლები, ჯანსაღი ცხოვრების წესი და ა.შ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. დამატებითი მომსახურებას ახორციელებს სკოლის მიერ დამტკიცებული მოსწავლეების და პროცესების უსაფრთხოების დებულების ნორმების დაცვით, შინაგანწესის, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტრანსპორტირების ტაბელი;
- სამოქალაქო განათლების კლუბის სამოქმედო გეგმა;
- შინაგანწესი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის დოკუმენტი;
- მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- მოსწავლეების და პროცესების უსაფრთხოების დებულება;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

